

## გენდერის სემანტიკური სპეციფიკისათვის გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში

მოღებამე ცისანა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აბსტრაქტი.** ქალი სამყაროს, სიცოცხლის საწყისი და დასასრულია. ქალის გარეშე სამყარო დიდი ხნის წინ შეწყვეტდა არსებობას. გამომდინარე იქიდან, რომ ფრაზეოლოგიზმები ერის ცნობიერების და ცხოვრების სარკეა, კონცეპტ „ქალის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმები ყველა ენაში მრავლადაა და მათ შორის გერმანულშიც.

ჩვენი კვლევის მიზანია: კონცეპტ „ქალის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმების მოძიება და მათი სემანტიკის განსაზღვრა. კვლევის ობიექტია გერმანულენოვანი ლექსიკონები და პრესა, კერძოდ ჟურნალები: „Bravo“, „Mädchen“. მოძიებულ იქნა 83 გერმანული ფრაზეოლოგიზმი. როგორც კვლევამ გვიჩვენა, კონცეპტი „ქალი“ გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში გამოყენებულია დადებითი და უარყოფითი კონოტაციით, თუმცა უარყოფითი კონოტაციით გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები ჭარბობს (54) დადებითი კონოტაციით წარმოდგენილ (29) ფრაზეოლოგიზმებს.

კონცეპტი „ქალი“ დადებითი კონოტაციის ფრაზეოლოგიზმებში ნახმარია მრავალფეროვანი სემანტიკური მნიშვნელობით, როგორცაა სილამაზე, სიყვარული, მომჭირნეობა, შრომისმოყვარეობა და ა. შ. გერმანული ფრაზეოლოგიზმების კვლევამ გვიჩვენა, რომ ქალი უფრო ხშირად ნეგატიური კონოტაციით ანუ უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობით ფიქსირდება. ბიბლიაშიც კი ევა არის ცოდვის დასაბამი. იგი არის საგანი, სათამაშო ეშმაკის ხელში. ის არის სუსტი არსება, რომელზედაც ზემოქმედება იოლია. უარყოფით კონოტაციაში იგულისხმება შემდეგი სემანტიკური მნიშვნელობები: გრძელი ენა, მოკლე ჭკვა, სიღბიერე, არასანდოობა, მსუბუქი ყოფა-ქცევა, ცვალებადი ხასიათი და ა. შ. კონცეპტ „ქალის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა სემანტიკური მნიშვნელობით ქალისა და მამაკაცის ურთიერთობასთან და ოჯახთან არის დაკავშირებული.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად უამრავი უარყოფითი კონოტაციის შინაარსის მქონე ფრაზეოლოგიზმებისა, ქალი მაინც რჩება სიცოცხლის საწყისად, რაც კარგად ჩანს ფრაზეოლოგიზმებშიც.

**საკვანძო სიტყვები:** კონცეპტი „ქალი“, სემანტიკა, დადებითი, უარყოფითი, კონოტაცია

ქალი სამყაროს, სიცოცხლის საწყისი და დასასრულია. ქალის გარეშე სამყარო დიდი ხნის წინ შეწყვეტდა არსებობას. გამომდინარე იქიდან, რომ ფრაზეოლოგიზმები ერის ცნობიერების და ცხოვრების სარკეა, კონცეპტ „ქალის“ შემცველი

ფრაზეოლოგიზმები ყველა ენაში მრავლადაა და მათ შორის გერმანულშიც. ამიტომაც ჩვენი კვლევის მიზანია კონცეპტ “ქალის” შემცველი ფრაზეოლოგიზმების მოძიება და მათი სემანტიკის განსაზღვრა.

კვლევის ობიექტია გერმანულენოვანი ლექსიკონები და პრესა, კერძოდ, ჟურნალები: „Bravo“, „Mädchen“.

გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში Frau-ქალი რამდენიმე სინონიმური ფორმით დაფიქსირდა: Weib-ქალი, Mädchen-გოგონა, Dame-ქალბატონი, Jungfrau-ქალწული.

გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში „Frau-ქალი“ ფიქსირდება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციით.

„Frau-ქალი“ ხშირად გვხვდება დადებითი კონოტაციით, როგორცაა სილამაზე:

Das schöne Geschlecht-ლამაზი სქესი

Die schöne Frau ist halb verheiratet-ლამაზი ქალი ნახევრად უკვე გათხოვილია. ეს ფრაზეოლოგიზმი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქალის ვიზუალური მხარე მამაკაცებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ლამაზი ქალი არის მამაკაცების სუსტი მხარე, ქალი მათ საზრუნავს და დარდს უჩენს:

Wer eine schöne Frau hat, braucht mehr als zwei Augen-ვისაც ლამაზი ქალი /ცოლი ჰყავს, ორ თვალზე მეტი სჭირდება; Je schöner das Weib, desto schlechter das Essen - რამდენადაც ლამაზია ქალი, იმდენად ცუდია საჭმელი.

თუმცა არსებობს შემდეგი ფრაზეოლოგიზმიც: Die Frau, die oft in den Spiegel schaut, spinnt wenig-ქალი, რომელიც ხშირად იყურება სარკეში, ცოტას უბერავს (სულელია). ანუ ქალის სილამაზემ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ადამიანი და სულელი ქალი შერჩეს ხელში.

ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობას გამოხატავს ფრაზეოლოგიზმები: Eine gute Frau macht einen guten Mann-კარგი ქალი კარგ კაცს ჰქმნის; Hinter jedem großen Mann steht eine kluge Frau-ყველა დიდი კაცის უკან ჰქვიანი ქალი დგას; Die Bauersfrau ist die Seele des Bauernhofes-გლეხის ქალი გლეხის ეზოს სულია; Der Mann ist Kopf, die Frau hingegen das Genick-კაცი თავია, ქალი კი კისერი.

**სილამაზე წარმავალი:** Wer auf Schönheit traut, hat auf Sand gebaut- ვინც სილამაზეს ენდობა, ქვიშაზე აშენებს; Die schönsten Rosen welken zuerst-პირველად ყველაზე ლამაზი ვარდები ჭკნებიან. Hübsche Frauen altern nicht, sie können nur bis dreißig zählen- ლამაზი ქალები არ ბერდებიან, მათ მხოლოდ ოცდათამდე დათვლა იციან. Für Frauen ist das Alter die Hölle-ქალებისთვის ასაკი ჯოჯოხეთია.

**სიყვარული:** Die Frau liebt mit dem Herzen, der Mann mit dem Kopfe-ქალს უყვარს გულით, კაცს თავით; Die Dame/Frau seines Herzens- (მისი გულის ქალი/ქალბატონი) შეყვარებული.

მომჭირნეობას გამოხატავს ფრაზეოლოგიზმი: Frauen machen aus Pfenningen Taler, Männer aus Taler Pfenninge-ქალები პფენინგიდან ტალერს ჰქმნიან, კაცები ტალერიდან პფენინგს.

ქალი დადებით კონტექსტში მოხსენიებულია ხშირად მხოლოდ ოჯახურ

საქმიანობასთან კავშირში, როგორცაა ოჯახური საქმე, ბავშვების მოვლა, ავადმყოფების და მოხუცების მოვლა და ა.შ.

Eine gute Frau hat fünf K zu besorgen: Kinder, Kammer, Küche, Keller und Kleider-კარგ ქალს ხუთი K აქვს საზრუნავი: შვილები, საკუჭნაო, სამზარეულო, სარდაფი და კაბები; Wie die Frau, so das Haus-რაც ქალია, ის სახლია; Wenn die Frau fleißig ist, steht das Glück an der Türschwelle-ქალი თუ ყოჩაღია, ბედნიერება კარის ზღურბლზე დგას; Das beste Möbel in einem Haus ist eine tugenhafte Frau-სახლში ყველაზე საუკეთესო ავეჯი სათნო ქალია.

Das Auge der Frau hält das Haus rein-ქალის თვალი სახლის სისუფთავს იცავს

Wie die Frau, so das Haus-რაც ქალია, ის სახლია

Die Frau ist der Schlüssel des Hauses-ქალი სახლის გასაღებია

Die Arbeit einer Frau nimmt nie ein Ende-ქალის სამუშაო არასოდეს მთავრდება

Die Bauersfrau ist die Seele des Bauernhofes-გლეხის ქალი გლეხის ეზოს სულია

Der Mann ist Kopf, die Frau hingegen das Genick-კაცი თავია, ქალი კი კისერი

Die Frau ist der Hüter der Seele des Mannes-ქალი მამაკაცის სულის მცველია.

Jeder Hans findet seine Grete-ყველა ჰანსი თავის გრეტეს პოულობს (ალხანას ჩაღბანა არ დაეღევა)

Jemandes bessere Hälfte-ვინმეს საუკეთესო მეორე ნახევარი

Eine aufrichtige Ehefrau ist des Mannes bessere Hälfte - გულწრფელი ცოლი ქმრის საუკეთესო მეორე ნახევარია

ფრაზეოლოგიზმების კვლევამ გვიჩვენა, რომ ქალი უმეტესად ნეგატიური კონოტაციით ანუ უარყოფითი თვისებებით არის მოცემული. ბიბლიაშიც კი ევა არის ცოდვის დასაბამი. იგი არის საგანი/სათამაშო ეშმაკის ხელში, ის არის სუსტი არსება, რომელზედაც ზემოქმედება იოლია.

აქედან მოდის ფრაზეოლოგიზმები:

Wo Eva gemalt steht, da ist die Schlange nicht weit-სადაც ევაა დახატული, იქვე ახლოს გველიცაა

Die Weiber heißen alle Eva-ყველა ქალი ევაა

Ein Weib neun Haute, die Zwibel sieben-ქალს ცხრა კანი აქვს, ხახვს შვიდი

გერმანული ფრაზეოლოგიზმები გამოხატავს ქალის შემდეგ უარყოფით თვისებებს: გრძელი ენა. მოკლე ჭკუა, სიცბიერე, ჭორიკნობა

გრძელი ენა:

Die Frauenzungen sind länger als Frauenröcke-ქალის ენა უფრო გრძელია, ვიდრე ქალის ქვედაკაბა.

მოკლე ჭკუა:

Die Frauen haben langes Haar und kurzen Verstand-ქალებს გრძელი თმა და მოკლე ჭკუა აქვთ

ქალი საშიში, ცბიერი და არასანდოა:

Eine Frau und ein Gewitter sind immer zu fürchten-ქალი და ავდარი ყოველთვის საშიშია

Mit Frauen und Geld ist gefährlich zu spielen-ქალებთან და ფულთან თამაში საშიშია

Mit Frauen zu lachen ist gefährlicher, als mit Männern zu kämpfen-ქალებთან სიცილი უფრო საშიშია, ვიდრე კაცებთან ბრძოლა

Frauen und Melonen sind schwer zu erkennen-ქალები და საზამთრო ძნელი საცნობია

Die Frauen und das Spiel verderben der Männer viel-ქალები და თამაში ბევრ რამეს უფუჭებენ კაცებს

ქალები მეტწილად ნეგატიურად არის წარმოდგენილი. ქალებს უყვართ სხვებზე ჭორაობა:

Wo immer eine Frau ist, ist Tratsch-სადაც ქალია, იქ ჭორაობაცაა

Es hat nie einen Streit ohne eine Frau gegeben-არ არსებობს ჩხუბი ქალების გარეშე

Wer eine Frau hat, hat Streit-ვისაც ცოლი ჰყავს, ჩხუბიც აქვს

Wenn Frauen gehen, hinterlassen sie Frieden-როცა ქალები მიდიან, მშვიდობას ტოვებენ

მსუბუქი ყოფა-ქცევა:

Eine Frau mit Vergangenheit-ცუდი წარსულის მქონე ქალი

Ein leichtes Mädchen-მსუბუქი ყოფა-ქცევის გოგონა

Ein gefallenes Mädchen-დაცემული გოგონა

ქალების ცვალებადი ხასიათია ასახულია ფრაზეოლოგიზმებში:

Winterwetter und Frauengedanken ändern sich oft- ზამთრის ამინდი და ქალების აზრები ხშირად იცვლება

Frauen sind so wechselhaft, wie das Wetter im April –ქალები ისეთივე ცვალებადია, როგორც ამინდი აპრილში

Ein kluger Mann widerspricht seiner Frau nicht. Er wartet, bis sie es selbst tut- ბრძენი კაცი ცოლს არ ეწინააღმდეგება. ის ელოდება სანამ ის თვითონ გააკეთებს ამას.

ქალის და კაცის ტვინი განსხვავებულია. ქალები უფრო ენობრივ და ხელოვნების სფეროში არიან ძლიერი, კაცები საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ სფეროში.

Ein Mann ist ein Wort, eine Frau ein Wörterbuch-კაცი სიტყვაა, ქალი ლექსიკონი

Eine Frau sagt mehr, als in allen Büchern der Welt geschrieben steht-ქალი იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე მსოფლიოს ყველა წიგნში წერია.

Viele Frauen, viele Worte-ბევრი ქალი, ბევრი სიტყვა

Wer seiner Frau alles erzählt, weiß wenig-ვინც ცოლს ყველაფერს უყვება, ცოტა იცის

Die beste Frau ist die, die nicht spricht- საუკეთესო ქალი ისაა, ვინც არ ლაპარაკობს

Das Haar einer Frau ist lang, ihre Zunge noch länger-ქალს თმა გრძელი აქვს, ენა კი უფრო გრძელი

Drei Frauen und eine Gans machen eine Markt- სამი ქალი და ბატი ბაზარს ჰქმნიან.

ქალის მოსაფერებელი ფრაზეოლოგიზმებია:

Ein Piepmatz! - პატარა ჩიტუნია!

Eine süße Puppe!-საყვარელი თოჯინა!

Eine süße Maus!-საყვარელი თაგუნია!

Eine Torte!-ტორტი!

Eine süße Biene! - საყვარელი/ტკბილი ფუტკარი!

ქალის სალანძღავი ფრაზეოლოგიზმებია:

Eine dumme Pute-სულელი ინდაური

Eine dumme Gans-სულელი ბატი

Eine blöde/ dumme Ziege-სულელი თხა

Ein alter Drachen-მოხუცი დრაკონი

Eine falsche Schlange- ყალბი გველი (არაგულწრფელი, მატყუარა ქალი)

XXI საუკუნის ქალი აღარ არის ნაზი, უმწეო, თავგადადებული დიასახლისი, არამედ ეშმაკი, ემანსიპირებული ქალია. ეს ჩანს ფრაზეოლოგიზმებშიც:

Eine Frau der Tat-საქმოსანი ქალი;

Eine Frau von Welt-საზოგადოებაში წარმატებული, ცნობილი ქალი

სხვადასხვა შინაარსის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმებია:

Eine Frau dick machen-(ქალის გასუქება) ქალის დაფხმძიმება

Etwas an die Frau bringen-(რაიმეს ქალთან მიტანა) რაიმეს სარფიანად გაყიდვა

Eine Frau an den Mann bringen- (ქალის კაცთან მიყვანა) კაცისთვის ქალის გარიგება

Selbst ist die Frau- (თავად არის ქალი) თავად შეუძლია ბევრი რამის გაკეთება

Die Frau meiner Träume-სასურველი/ოცნების ქალი

Eine Frau ersten Stunde- (პირველი წუთების ქალი) ადამიანი, რომელიც პირველი წუთიდან შემთხვევის ადგილზე იყო

Um die Hand einer Frau anhalten/bitten-ქალისთვის ხელის თხოვნა

Einer Frau/einem Mädchen Gewalt antun- ქალზე ძალა იხმარა/გააუპატიურა

Frau Holle schüttelt die Betten/Federn aus (ქალბატონი ჰოლე ლოგინებს/ბუმბულს იქნევს)-თოვს

Dafür muss eine Oma/alte Frau lange stricken!-( ამისათვის ბებია/მოხუცმა ქალმა დიდხანს უნდა ქსოვოს) ძვირია!

eine alte Frau ist doch kein D-Zug- (მოხუცი ქალი არ არის სწრაფი მატარებელი) მოხუცები სწრაფები აღარ არიან.

Die Frau fürs Grobe sein-მკაცრი, უხასიათო (ადამიანი, რომელსაც უსიამოვნო დავალებები ევალება)

Eine gestandene Frau sein-დამდგარი ქალი /ზრდასრულია/ მომწიფებულია/ გამოცდილია

ამრიგად, მოვიძიეთ 83 ფრაზეოლოგიზმი. როგორც კვლევამ გვიჩვენა, კონცეპტი "ქალი" გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში გამოყენებულია დადებითი და უარყოფითი კონოტაციით, თუმცა უარყოფითი კონოტაციით გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები ჭარბობს (54). დადებითი კონოტაციით იყო (29) ფრაზეოლოგიზმი.

დადებით კონოტაციას მიეკუთვნება: სილამაზე, სიყვარული, მომჭირნეობა, შრომისმოყვარეობა და ა. შ.

უარყოფით კონოტაციაში იგულისხმება: გრძელი ენა, მოკლე ჭკვა, სიცბიერე, არასანდოობა, მსუბუქი ყოფა-ქცევა, ცვალებადი ხასიათი და ა.შ. ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა არის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობასთან და ოჯახთან კავშირში.

მიუხედავად უამრავი უარყოფითი კონოტაციის შინაარსის მქონე ფრაზეოლოგიზმებისა, ქალი მაინც რჩება სიცოცხლის საწყისად.

### ლიტერატურა:

1. გამრეკელი, ნ., ჰოფმანი, თ. ქადაგიძე, ნ. (1973): გერმანულ-ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. განათლება.
2. ზეკალაშვილი, რ. ქირია, ჭ. (2007): გერმანულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: საქართველოს მაცნე.
3. Duden (Deutsches Universalwörterbuch) (5. überarbeitete Aufgabe) (2003). Dudenverlag. Mannheim. Leipzig. Wien. Zürich.
4. Duden (2008): Wörterbuch der deutschen Idiomatik. 3., überarbeitete und aktualisierte Aufl. Mannheim: Dudenverlag.
5. Götz D. u. a.: (2008) Drosßwörterbuch Deutsch als Fremdsprache. Langenscheidt-Berlin- München -Wien - Zürich -New York.
6. Kempke, G. (1984): Handwörterbuch der deutschen Gegenwartssprache in zwei Bänden. Berlin: Akademie Verlag.
7. Schmidt W. (1982): Deutsche Sprachkunde; Volk und Wissen, volkseigener Verlag. Berlin.
8. Paffen, K.A. (1980): Deutsch-russisches Satzlexikon. Leipzig: VEB Verlag Enzyklopädie.
9. Warig, G. (2000): Deutsches Wörterbuch. Bertelsmann Lrxikon Verlag. Gütersloh/ München.
10. <https://www.presseplus.de/BRAVO-Abo> მოძიებულია 20.03.2022
11. <https://www.maedchen.de/> მოძიებულია 20.03.2022

## **For the Semantic Specificity of Gender in German Phraseological Units**

**Modebadze Tsisana**

Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Abstract**

Woman is the beginning and end of the universe. Without women, the world would have ceased to exist a long time ago. Due to the fact that phraseology is a mirror of a nation's consciousness and life, phraseology containing the concept "woman" is abundant in all languages, including the German language.

The purpose of our research is to find phraseology containing the concept "woman" and determine its semantics. The object of research is German-language dictionaries and press, in particular the magazines: "Bravo", "Mädchen". There were found 83 German phraseological units. As the research has shown, the concept "woman" is used in German phraseology with positive and negative connotations, although phraseology with a negative connotation prevails (54) over (29) phraseology with a positive connotation.

The concept "woman" is used in positive connotation phraseology with a variety of

semantic meanings, such as beauty, love, difficulty, hard work, etc. The research of German phraseology revealed that the concept "woman" is more often fixed with a negative connotation or a negative semantic meaning. Even in the Bible, Eva is the origin of sin. She is an object, a toy in the hands of the devil. She is a weak creature who is easily influenced. The negative connotation includes the following semantic meanings: long tongue, short wit, cunning, unreliability, easy behavior, changeable character, etc. Most of the phraseology containing the concept "woman" is semantically related to the relationship between men and women and the family.

As a conclusion, we can say that despite many phraseological expressions with negative connotations, women still remain the beginning of life, which is also clearly visible in phraseological expressions.

**Key words:** concept "woman," semantics, positive, negative, connotation.